



სტატისტიკის ეროვნული სამსახური


ინფლაცია საქართველოში
2018
მარტი



ინფლაცია საქართველოში, 2018 წლის მარტი

2018 წლის მარტში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში -0,4 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 2,8 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში, წინა თვესთან შედარებით.



მოცემულ პერიოდში ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:


სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები შემცირდა 0,6 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე -0,18 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები შემცირდა ქვეჯგუფებზე: რძე, ყველი და კვერცხი (-3,1 პროცენტი), ბოსტნეული და ბაღჩეული (-2,8 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (-1,4 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (-0,3 პროცენტი). ამასთან, ფასები გაიზარდა ხილსა და ყურძენზე (4,7 პროცენტი);

ტრანსპორტი: ფასები შემცირებულია 1,0 პროცენტით, რაც თვის ინფლაციაზე -0,13 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები შემცირდა სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (-2,7 პროცენტი) და პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (-1,2 პროცენტი);

საცხოვრებელი, წყალი, ელ. ენერგია, აირი: ჯგუფში ფასების 0,6 პროცენტით კლება დაფიქსირდა. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა თვის ინფლაციაში -0,06 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები შემცირდა ელექტროენერჯის, აირის და სათბობის სხვა სახეების ქვეჯგუფზე (-0,7 პროცენტი).

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი 2018 წლის მარტის წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში.



წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ფასები გაიზარდა 3,9 პროცენტით, რაც 1,19 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი (25,6 პროცენტი), ბოსტნეული და ბალჩეული (7,0 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (4,9 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (4,4 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (3,2 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (2,9 პროცენტი), თევზი (2,8 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირდა შაქარზე, ჯემსა და სხვა ტკბილეულზე (-2,5 პროცენტი);


ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ჯგუფში ფასები მომატებულია 6,2 პროცენტით, რაც 0,42 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ჯგუფში ფასების მატება დაფიქსირდა როგორც თამბაქოს ნაწარმზე (11,2 პროცენტი), ისე ალკოჰოლურ სასმელებზე (1,1 პროცენტი);

საცხოვრებელი, წყალი, ელ. ენერგია, აირი: ფასები გაიზარდა 4,7 პროცენტით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიურ ინფლაციაში 0,39 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები გაიზარდა წყალმომარაგებისა და საცხოვრებელთან დაკავშირებული სხვა მომსახურების (7,7 პროცენტი) და ელექტროენერჯის, აირის და სათბობის სხვა სახეების (5,4 პროცენტი) ქვეჯგუფებზე;


ჯანმრთელობის დაცვა: ფასები გაიზარდა 3,7 პროცენტით, რაც 0,3 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ჯგუფში ფასების მატება დაფიქსირდა ქვეჯგუფებზე: სამედიცინო პროდუქცია, აპარატურა და მოწყობილობა (4,4 პროცენტი), ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება (4,1 პროცენტი) და საავადმყოფოების მომსახურება (2,4 პროცენტი).

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.


ყოველთვიური ინფლაცია



წლიური ინფლაციის დონე საქართველოში (წინა წლის შესაბამის თვესთან, პროცენტული ცვლილება)



საშუალო ინფლაციის დონე საქართველოში (12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან, პროცენტული ცვლილება)



საკონტაქტო პირი: გიორგი თეთრაული
 ტელ: (+995 32) 236 72 10 (400)
 ფაქსი: (+995 32) 236 72 13
 ელ. ფოსტა: geitrauli@geostat.ge